შპს საქართველოს უნივერსიტეტის

ინფორმატიკის ინსტიტუტის დებულება

პრეამბულა

საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, ადამიანში ლიბერალურ - ჰუმანური ღირებულებების გაღვივება, პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად მისი აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით.

საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის ინსტიტუტის მიზანია გააძლიეროს უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი კომპიუტერული მეცნიერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით, ხელი შეუწყოს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებას და თავისი საქმიანობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა და მისი რეიტინგი საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო წრეებში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ინფორმატიკის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) ექვემდებარება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლას. „ინსტიტუტი“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ნაწილში ანგარიშვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სკოლის წინაშე ერთობლივად.

1.2. ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

1.3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდანორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

2.1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას კომპიუტერულ მეცნიერებაში და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. ინსტიტუტის დანიშნულებაა დასახელებული მიმართულებით გამოყენებითი, ტექნოლოგიური კვლევების, საკონსულტაციო, საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

2.2. ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციებია:

2.2.1. სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელება;

2.2.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მეცნიერ - მკვლევართა მობილობის ხელშეწყობა;

2.2.3. ინსტიტუტის კვლევითი პოტენციალის გამოყენებით სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მის ეფექტურად წარმართვისთვის სტუდენტთა კვლევით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

2.2.4. სამეცნიერო სემინარების, ვორკშოპების, კონფერენციების და ა.შ. ორგანიზება;

2.2.5. მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა შემდეგი მიმართულებით (კვლევითი მიმართულებები/თემები შესაძლებელია დაემატოს ინსტიტუტის ამოცანების გაფართოების კვალობაზე):

1) სისტემების თეორია და სისტემების სტრუქტურული ანალიზი;
2) მათემატიკური მოდელირება და ოპტიმიზაციის მეთოდები;
3) ხელოვნური ინტელექტი;
4) დიდი მონაცემების დამუშავება;
5) მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია;
6) მანქანური სწავლება (ნეირონული ქსელები);
7) ალგორითმიზაციის მეთოდები;
8) ტესტირების ავტომატიზაციის სისტემები;
9) Web3 (დეცენტრალიზებული, ბლოკჩეინ) ტექნოლოგიები;
10) კიბერუსაფრთხოება;
11) ბიოინფორმატიკა;
12) გეოინფორმატიკა.

2.3. ინსტიტუტის საქმიანობა გულისხმობს:

2.3.1. კვლევითი გრანტების მოპოვების მიზნით ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში თანამშრომელთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

2.3.2. ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში ინფორმატიკის მიმართულებთ სამაგისტრო, სადოქტორო, პოსტ-სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობა და ამ პროგრამებზე სტუდენტების, დოქტორანტების მოზიდვა;

2.3.3. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად თანამშრომელთა ხელშეწყობა;

2.3.4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად თანამშრომელთა ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

3.1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან (განყოფილებებისაგან), რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდნენ ინსტიტუტის განვითარების პარალელურად.

3.2. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც იმავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

3.3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

3.4. მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სკოლის საბჭოს და უნივერსიტეტის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

3.5. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მთავარი მეცნიერი თანამშრომელისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ნიშნავს ინსტიტუტის დირექტორი.

3.6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება ინსტიტუტის მთავარი და უფროსი მეცნიერ თანამშრომლებისაგან.

3.7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ახორციელებს სამეცნიერო მართვას და წყვეტს ინსტიტუტის განვითარებისა და საკადრო საკითებს.

3.8. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შექმნამდე ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების, საკადრო საკითხებს წყვეტს ინსტიტუტის დირექტორი სკოლის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.

3.9. ინსტიტუტის სტურქტურული ერთეულების არჩევის წესი და საქმიანობა დარეგულირდება შესაბამისი ცვლილებებით დებულებაში, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და რომელსაც ამტკიცებს რექტორის საბჭო.

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

4.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისაგან.

4.2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.

4.3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტ-დოქტორანტი.

4.4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები:
   4.4.1. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
   4.4.2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
   4.4.3. მეცნიერი თანამშრომელი.

4.5. ინსტიტუტის შტატის პერსონალი უნდა იყოს აფილირებული საქართველოს უნივერსიტეტთან.

4.6. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები და საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა თანამშრომელები.

4.7. ინსტიტუტის კვლევით აკადემიური პერსონალთან ერთად პროექტებში ჩართული იქნებიან როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები.

4.8. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

5.1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

5.1.1. დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

5.1.2. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

5.1.3. განახორციელოს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტში გარდა კოლაბორაციისა და განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც იქნება განსაზღვრული ინსტიტუტის დირექტორის, შესაბამისი სკოლის დირექტორის და კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის მიერ;

5.1.4. მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით. აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

5.1.5. ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

5.1.6. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

5.2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

5.2.1. დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

5.2.2. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2.3. პერიოდულად წარმოადგინოს მუშაობის ანგარიში ინსტიტუტის დირექტორის/სამეცნიერო საბჭოს წინაშე;

5.2.4. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/სკოლის/ინსტიტუტის ქონებას;

5.2.5. შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

5.2.6. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

5.2.7. გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

5.3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 6. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

6.1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

6.2. სამენციერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის აუცილებელი ეტაპია გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

6.3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევა ხდება 7 წლის ვადით.

6.4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების მქონე პირს, რომელსაც აქვს: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება;

6.5. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევა ხდება 5 წლის ვადით;

6.6. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

6.7. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით;

6.8. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან მისი სადოქტორო დისერტაცია მიღებულია დასაცავად (მეორე შემთხვევაში მას გაუფორმდება პირობითი ხელშეკრულება 6 თვით);

6.9. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება ერთი და იგივე პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

6.10. პოსტ-დოქტორანტის თანამდებობაზე არჩევა ხდება 1 წლის ვადით;

6.11. პოსტ-დოქტორანტის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

6.12. ინსტიტუტის პერსონალი ექვემდებარება ატესტაციას უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატესტაციის ერთიანი წესის შესაბამისად.

6.13. ატესტაციის ერთიან წესს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორის საბჭო.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

7.1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

7.2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
   7.2.1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
   7.2.2. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
   7.2.3. გრანტებით მიღებული შემოსავალი;
   7.2.4. შემოწირულობები;
   7.2.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

7.3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 8. ინსტიტუტის ბიუჯეტი

8.1. ინსტიტუტს გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი.

8.2. ინფორმატიკის ინსტიტუტს ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან:

8.2.1. უნივერსიტეტის საბაზისო დაფინანსება, რომელსაც განიხილავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

8.2.2. დამოუკიდებლად მოპოვებული თანხები ხელშეკრულებების საფუძველზე სხვა ორგანიზაციებიდან და გრანტებიდან, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი და ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

მუხლი 9. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

9.1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

9.1.1. ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

9.1.2. უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

10.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან.